რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში

თვისებრივი კვლევის ანგარიში

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

2023 წ. დეკემბერი

ავტორი: ვახტანგ კობალაძე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორი.

კვლევა ჩატარდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში, ასევე, ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ (გერმანია) მიერ დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

@ საავტორო უფლებები ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს (CSRDG).

სარჩევი

შესავალი 4

აბრევიატურები 6

მეთოდოლოგია 7

თავი 1. რძისა და რძის ნაწარმის უვნებლობის კონტროლის არსებული მექანიზმები 8

1.1 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი 8

1.2 ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი 9

თავი 2. ძირითადი სირთულეები და გამოწვევები 11

2.1 ვეტერინარების კადრები 11

2.2 მეწარმეთა და მომხმარებელთა ცნობიერება 12

2.3 ლაბორატორიები 13

2.4 სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისი მასშტაბები 13

2.5 წვრილი მეურნეობების სიმრავლისა და სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისი მასშტაბების ძირითადი შედეგები 18

დასკვნები 21

რეკომენდაციები 24

დანართი 1. ყველის ნიმუშების შემოწმება 26

დანართი 2. მაღაზიების მონიტორინგი 30

გამოკითხულ პირთა სია 32

წერილობითი წყაროები 32

შესავალი

რძე და რძის ნაწარმი საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების კვების რაციონის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, ამ პროდუქციის უვნებლობა პირდაპირ აისახება საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და მომავალი თაობების ჯანსაღ ფიზიოლოგიურ განვითარებაზე. ამავე დროს, რძე და რძის ნაწარმი (სხვა ცხოველურ პროდუქციასთან ერთად) მომეტებული საფრთხის მქონე პროდუქციად ითვლება, როგორც მალფუჭებადი და ცხოველური დაავადებების გადამტანი. გარდა ამისა, რძის ნაწარმთანაა დაკავშირებული ქიმიური საფრთხეები, რომლებიც დაბინძურებული გარემოდან, სასურსათო დანიშნულების ცხოველების საკვებიდან, თუ სამკურნალო პრეპარატებიდან და ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოებისას გამოყენებული ქიმიური დანამატებიდან მომდინარეობს.

საქართველოში, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სურსათის უვნებლობის მიმართულებით მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება, რომლებიც, ევროკავშირთან დაახლოების კონტექსტში მიმდინარეობს. საქართველოს კანონმდებლობა და კონტროლის სისტემა სულ უფრო მეტად უახლოვდება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას. საგრძნობლად გაიზარდა სურსათის უვნებლობის კონტროლზე პასუხიმგებელი უწყების, სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) შესაძლებლობები. შესაბამისად, მისი საქმიანობის მასშტაბებიც ბევრად გაფართოვდა. მეწარმეებს, სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, ახალი ვალდებულებები დაეკისრათ. ყოველივე ამან ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მდგომარეობა გაუმჯობესა. მიუხედავად ამისა, სურსათის უვნებლობის რეგულირების ეფექტიანი სისტემის შექმნამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

რძისა და რძის ნაწარმის კონტროლს ის გარემოებაც ართულებს, რომ ძალზე დიდია რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელთა და გამყიდველთა რიცხვი, განსაკუთრებით გლეხური მეურნეობებისა და სხვა წვრილი მეწარმეების სახით, რაც ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას, ამ ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოება აქტიურად იყოს ჩართული სურსათის უვნებლობის მიმდინარე რეფორმებსა და კონტროლში, მიუკერძოებლად დააკვირდეს პროცესებს, ობიექტური დასკვნები გამოიტანოს, ხელისუფლებასა და მეწარმეებს მისცეს ისეთი სტიმულები, რომლებიც არა რომელიმე სოციალური ჯგუფის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებითა და საჭიროებებით იქნება ნაკარნახევი. მოცემული ანგარიშიც სწორედ ამ ამოცანებს ემსახურება და სამოქალაქო საზოგადოების კუთხით დანახულ სურათს წარმოადგენს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნვა, აგრეთვე, ეფექტიანი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა. ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისათვის იხილეთ საიტი https://csrdg.ge/.

საქართველოში ორგანიზაცია, მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2009 წლიდან მუშაობს და ამ მიმართულებით მისი ძირითადი საქმიანობებია: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო სტრუქტურებისა და

ბაზრის მონიტორინგი, საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება. მეტი ინფორმაცია მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის შესახებ იხილეთ საიტზე momxmarebeli.ge.

2023 წლიდან CSRDG-ის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა მონაწილეობს ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ განხორციელებაში. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), CSRDG და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია. პროექტის სამიზნე რეგიონებია: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სხვა საქმიანობასთან ერთად, CSRDG ახდენს საქართველოში, სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგსა და გამოვლენილი პრობლემების მოგვარების ადვოკატირებას.

მოცემული მონიტორინგის ობიექტად რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი შეირჩა. შერჩევა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა: 1) თემა ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის; 2) საკითხი მეტად კომპლექსურია; 3) რძისა და რძის პროდუქტების წარმოება პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

კვლევის დაგეგმვასა და მის ფარგლებში განხორციელებულ საველე დაკვირვებებში CSRDG-ის დაეხმარნენ მისი პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოს რეგიონებიდან:

- ასოციაცია „სოციალური ქოლგა“.
- გურიის მედიატორთა ასოციაცია.
- მომხმარებელთა უფლებების ცენტრი.
- რაჭის სათემო ორგანიზაცია.
- რეგიონული ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“.
- სათემო ორგანიზაცია „ნუკრიანი“.
- საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია.
- საქართველოს სასოფლო დარბაზი.
- ჩემი იმერეთი.

კვლევის შედეგები სასარგებლო უნდა იყოს სურსათის უვნებლობის სფეროში მომუშავე სახელისუფლებო, დონორი, საერთაშორისო, არასამთავრობო, თუ კერძო ორგანიზაციებისათვის.

აბრევიატურები

სეს - სურსათის ეროვნული სააგენტო.
CSRDG - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

მეთოდოლოგია

კვლევა ფოკუსირებულია ქვეყნის შიდა ბაზარზე სურსათის უვნებლობის კუთხით სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე.

კვლევა სამაგიდო და საველე კომპონენტებისაგან შედგებოდა.

სამაგიდო კვლევის პროცესში მოხდა მოცემულ თემასთან დაკავშირებული შემდეგი მასალების შესწავლა:

- საქართველოს კანონმდებლობა, სახელმწიფო პროგრამები და სახელმწიფო უწყებების ანგარიშები.
- კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ, ბოლო წლების მანძილზე საქართველოში ჩატარებული კვლევის ანგარიშები.

საველე კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები საკითხში გათვითცნობიერებული სხვადასხვა სექტორის 16 წარმომადგენელთან (სახელმწიფო სტრუქტურები, ბიზნესასოციაციები, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ექსპერტები).

რესპონდენტთა შერჩევა მოხდა მათი კომპეტენციის, გამოცდილებისა და დაკავებული თანამდებობების მიხედვით.

ინტერვიუები ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. თითოეული ინტერვიუს დროს დასმული კითხვები განსხვავდებოდა რესპონდენტის ინფორმირებულობის ხარისხისა და პასუხისმგებლობის სფეროს შესაბამისად.

გარდა ამისა, განხორციელდა შემდეგი საველე დაკვირვებები:

- სავაჭრო ქსელში აღებული ყველის 42 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა მიკრობიოლოგიურ პარამატრებზე.
- რძითა და რძის ნაწარმით მოვაჭრე 76 მაღაზიის მონიტორინგი.

საველე დაკვირვებების მეთოდოლოგიები დანართებშია აღწერილი.

ინფორმაცია შეიკრიბა 2023 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში.

საბოლოოდ, სხვადასხვა წყაროთი მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და შეჯერდა. ანგარიშში მოცემული დასკვნები და რეკომენდაციები ავტორს ეკუთვნის.

კვლევის ანგარიში ზოგადი მიმოხილვის ხასიათს ატარებს. მასში აღნიშნულია მიღწევები და დადებითი ტენდენციები, თუმცა, ძირითადი ყურადღება პრობლემებზე მახვილდება, რათა მათ მოგვარებას შეეწყოს ხელი. საკითხების შინაარსიდან გამომდინარე, ანგარიში გარკვეულწილად სცდება უშუალოდ რძისა და რძის ნაწარმის უვნებლობისა და კონტროლის თემას, ვინაიდან ამ პროდუქციის წარმოება და გაყიდვა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოფლის მეურნეობასთან, კვების მრეწველობასთან და სურსათის უვნებლობის ზოგად მდგომარეობასთან.

თავი 1. რძისა და რძის ნაწარმის უვნებლობის კონტროლის არსებული მექანიზმები

1.1 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი

სურსათისა და სურსათის ბიზნესოპერატორების კონტროლის მასშტაბები და სიხშირეები განისაზღვრება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამებით, რომლებიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ მტკიცდება და სეს-ის სახელმძღვანელო დოკუმენტებს წარმოადგენს. პროგრამები მთელ რიგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მუშავდება, როგორებიცაა ხელმისაწვდომი ფინანსური და ადამიანური რესურსები და რისკის დონეები, რომლებიც, თავის მხრივ, ცალკე კრიტერიუმებად იყოფა.

ნედლი რძის თერმული დამუშავება, რძის პროდუქტების წარმოება და რძის შეგროვება (რიგ სხვა საქმიანობასთან ერთად) მომეტებული რისკის მქონე საქმიანობად ითვლება და მისით დაკავებული ბიზნესოპერატორების შედარებით მაღალი სიხშირით კონტროლს (გეგმურ ინსპექტირებას) გულისხმობს. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ბიზნესოპერატორებს, რომლებიც ნედლი რძის თერმულ დამუშავებას ახდენენ. 2023 წლის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის თანახმად, მათი გეგმური ინსპექტირება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.[1] დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, დამატებით ხდება მიცემული მითითებების შესრულების გადამოწმება.

რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-რეალიზაციით დაკავებული ბიზნესოპერატორები, სხვა მეწარმეების მსგავსად, ასევე, კონტროლდებიან არაგეგმური ინსპექტირების, დოკუმენტური შემოწმებისა და აუდიტის მექანიზმების გამოყენებით. გარდა ამისა, სხვა სურსათთან ერთად, სეს ახდენს რძისა და რძის ნაწარმის ლაბორატორიულ კვლევას, რისთვისაც ნიმუშების შერჩევა მთელ რიგ მონაცემებზე დაყრდნობით ხდება.[2]

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წარმატებებზე გარკვეულწილად მეტყველებს მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარებული მაღაზიების მონიტორინგის შედეგები.

2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში CSRDG-ის 9 პარტნიორმა ორგანიზაციამ საქართველოს 13 მუნიციპალიტეტში სასურსათო მაღაზიების მონიტორინგი ჩაატარა.

მონიტორინგის დროს შემოწმდა რძისა და რძის ნაწარმის

- შენახვის პირობები (ინახებოდა თუ არა პროდუქტები შესაბამის ტემპერატურაზე).
- ვადები (ხომ არ იყიდებოდა ვადაგასული პროდუქცია).
- ეტიკეტირება (ეტიკეტის არქონის შემთხვევაში, თანდართული დოკუმენტაციის არსებობა).

მონიტორინგმა 76 მაღაზია და 226 პროდუქტი მოიცვა. დაფიქსირდა 8 დარღვევა, 3 მუნიციპალიტეტის 8 მაღაზიაში. 3 პროდუქტი ვადაგასული აღმოჩნდა, 3 პროდუქტს ეტიკეტი ან თანდართული ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო 2 შემთხვევაში ეტიკეტი არ იკითხებოდა.

მიღებული შედეგების განზოგადება მთელი ქვეყნის მასშტაბით არ იქნება სწორი, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო და დიდი ზომის მაღაზიებში (სადაც შესაძლებელია მომხმარებელმა დახლებზე განთავსებული პროდუქცია დაათვალიეროს), რძის ნაწარმის

[1] სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, მ. 5,1 და დანართი №1.1.

[2] სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, დანართი №1.2.

შენახვის პირობების, ვადებისა და არაეტიკეტირებული პროდუქციის გაყიდვის მხრივ, დიდი პრობლემები არ იკვეთება. თუმცა, ამგვარი ზედაპირული მონიტორინგის შედეგად, მაღაზიების 10%-ში (76-დან 8 მაღაზია) დარღვევების გამოვლენა მაინც საყურადღებოა.

მაღაზიების მონიტორინგის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ დანართ 2-ში „მაღაზიების მონიტორინგი“.

1.2 ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მსგავსად, ვეტერინარული კონტროლის მასშტაბები და სიხშირეები განისაზღვრება ვეტერინარიის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამებით. პროგრამები რისკის რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით მუშავდება.

<u>რძის უვნებლობასთან უშუალო კავშირშია</u> შემდეგი ობიექტების კონტროლი:

- ვეტერინარული პრეპარატების დამამზადებელი საწარმოები.
- ვეტერინარული პრეპარატებით მოვაჭრე ობიექტები.
- ცოცხალი ცხოველების ბაზრები.
- სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების საწარმოები.
- პირველადი წარმოების ობიექტები.
- ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორები, რომლებიც ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე პროდუქციის იმპორტს ახორციელებენ.

აქედან, ვეტერინარიის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამით, მაღალი რისკის ობიექტებს განეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ:

- ცხოველების მოვლა-შენახვას, გამოზრდას, მოშენებას, რეალიზაციას.
- ვეტერინარული პრეპარატების წარმოებას.
- ვეტერინარული პრეპარატებით ვაჭრობას.[3]

მათგან, 2023 წლის პროგრამით, გათვალისწინებულია შემდეგი ობიექტების 100%-ის ინსპექტირება:

- ვეტერინარული პრეპარატების მწარმოებელი საწარმოები და ცოცხალი ცხოველების სარეალიზაციო აგრარული ბაზრები/ბაზრობები (წელიწადში ორჯერ).
- სასურსათო დანიშნულების ცხოველის მზა საკვების მწარმოებელი „აღიარების“[4] მქონე საწარმოები (2 ობიექტი).
- „აღიარების“ მქონე პირველადი წარმოებები (13 ობიექტი).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს გათვალისწინებულია ვეტერინარული აფთიაქების 70%-ის ინსპექტირება.[5]

ასევე, გარკვეული ოდენობებით დაგეგმილია შემდეგი კვლევების ჩატარება:

- რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის.

---

[3] ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, მ. 6, 1.1.

[4] აღიარება – რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება, რომელსაც სეს ახორციელებს. აღიარება სავალდებულოა ზოგიერთი ტიპის ბიზნესოპერატორისათვის. აღნიშნული პროცედურის გავლა ნებაყოფლობითაცაა შესაძლებელი, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, მ. 2, ჩ), მ. 13.

[5] ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, მ. 6,2.

- ცოცხალი ცხოველებისა და სასურსათო დანიშნულების ცხოველების საკვებში აკრძალული ნივთიერებების, ვეტერინარული პრეპარატებისა და დამაბინძურებლების.
- სასურსათო დანიშნულების მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების.[6]

გათვალისწინებულია დოკუმენტური შემოწმებების განხორციელებაც, რომლის დროსაც პრიორიტეტი ენიჭება ვეტერინარული პრეპარატებით მოვაჭრე ობიექტებს, რომელთა 70%-ის გეგმური დოკუმენტური შემოწმებაა დაგეგმილი.[7]

საჭიროებისდა მიხედვით, ვეტერინარული კონტროლის პროგრამები, ასევე, არაგეგმური შემოწმებებისა და კვლევების ჩატარებას ითვალისწინებს.

ამასთანავე, დაავადებათა კონტროლის კუთხით, პროგრამები მოიცავს ცხოველთა ვაქცინაციას რიგი საშიში დაავადებების საწინააღმდეგოდ და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, ანუ მათ აღრიცხვას, ინდივიდუალური ნომრების მინიჭებასა და სპეციალურ მონაცემთა ბაზაში შეტანას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარული კონტროლის განსახორციელებლად.

რძის უვნებლობის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია დაავადება ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ, რაც წლების განმავლობაში მიმდინარეობს. 2023 წელს ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება 130 000-მდე მსხვილფეხა პირუტყვისათვის იყო დაგეგმილი.[8]

[6] ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, მ. 6,6.
[7] ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, მ. 6,5.
[8] ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, მ. 6,4, თ).

თავი 2. ძირითადი სირთულეები და გამოწვევები

სახელმწიფოს მხრიდან ზემოთ აღწერილი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, რძისა და რძის ნაწარმის უვნებლობის უზრუნველყოფას სხვადასხვა სირთულე და გამოწვევა ეღობება წინ, რომლებიც, მთლიანობაში, სურსათის უვნებლობის ყველა მიმართულებას ეხება.

2.1 ვეტერინარების კადრები

რძისა და რძის ნაწარმის, ისევე, როგორც სხვა ცხოველური სურსათის უვნებლობის მიღწევა შეუძლებელია ქვეყანაში კვალიფიციური ვეტერინარების არსებობის გარეშე. საქართველოში ეს წლების განმავლობაში გამოწვევას წარმოადგენს.

პროფესიონალიზმისა და სწავლების დონე საქართველოში პრობლემას ბევრ სფეროში წარმოადგენს, მათ შორის, ვეტერინარიაშიც. მოცემულ ანგარიშში ამ საკითხს არ ჩავუღრმავდებით, მხოლოდ ვეტერინართა რაოდენობის ნაკლებობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

2022 წელს Land O'Lakes Ventures37 მიერ განხორციელებული ვეტერინარების აღწერის შედეგებით, ვეტერინართა საშუალო ასაკი 51 წელი იყო.[9] უმაღლეს სასწავლებლებში ამ სპეციალობაზე ახალგაზრდების შედინება მცირეა. ამავე დროს, კურსდამთავრებულების უმრავლესობა ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა და სხვა) ექიმებად მუშაობას ირჩევს, ვინაიდან ეს უფრო მარტივი და შემოსავლიანი საქმეა, ვიდრე სასურსათო დანიშნულების ცხოველების მკურნალობა.

წლების განმავლობაში ვეტერინარი ექიმების სწავლება ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში, აგრარულ უნივერსიტეტში ხდებოდა. როგორც ცნობილია, ეს კერძო უნივერსიტეტია, რომელიც თბილისში მდებარეობს და იქ სწავლება საკმაოდ ძვირია. ეს დამატებით დაბრკოლებებს ქმნიდა ვეტერინარის პროფესიის დაუფლების მსურველი ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით კი რეგიონებიდან.

ბოლო წლების მანძილზე, ვეტერინარის სპეციალობა რამდენიმე სხვა უნივერსიტეტში, მათ შორის, სახელმწიფო უნივერსიტეტებში და რეგიონში (ტექნიკური უნივერსიტეტი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გაიხსნა, რაც წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, კადრების მოსამზადებლად კი წლებია საჭირო. ამას ემატება ლექტორების ნაკლებობა, რაც სწავლების გაფართოებას ზღუდავს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სეს-ში დასაქმებული ვეტერინარების საკმაოდ დაბალი ანაზღაურება და დიდი დატვირთვა, განსაკუთრებით, კადრების ნაკლებობის ფონზე. ეს კიდევ უფრო უზღუდავს სეს-ს საკმარისი რაოდენობის კადრების მოზიდვას.

რაც მთავარია, წვრილი მეურნეობების დიდი ნაწილი ვეტერინართა მომსახურებას მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების დროს იყენებს, რაც კერძო ვეტერინარებზე მოთხოვნას ზღუდავს.

ასე რომ, დღევანდელი გადასახედიდან, ბუნდოვანია, როდის შეიძლება ვეტერინარული კადრების ნაკლებობა აღმოიფხვრას.

[9] ვეტერინარი ექიმების და ტექნიკოსების მონაცემთა ბაზის შექმნა (ფოვერ ფოინთ პრეზენტაცია), Land O'Lakes Ventures37, 2022 წ.

2.2 მეწარმეთა და მომხმარებელთა ცნობიერება

მეწარმეთა ცნობიერება წლების მანძილზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ბევრი მეწარმე სათანადოდ ვერ აფასებს მის მიერ წარმოებული, თუ გაყიდული სურსათიდან მომდინარე საფრთხეებს, არ გააჩნია ჰიგიენური მოთხოვნების საკმარისი დაცვისა, თუ მის საკუთრებაში მყოფი ცხოველების ჯანმრთელობაზე სათანადო ზრუნვის პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით გლეხურ მეურნეობებსა და სხვა წვრილ მეწარმეებს ეხება.

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მეწარმეების ცნობიერების გაზრდის გარეშე კი ძალიან რთული იქნება ქვეყანაში სურსათის უვნებლობის დამაკმაყოფილებელი დონის მიღწევა. ამ საკითხს ქვემოთაც შევეხებით.

მეორე მხრივ, რძისა და რძის ნაწარმის, ისევე, როგორც ზოგადად, სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესება მომხმარებელთა ცნობიერებაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული. უკონტროლო გარე ვაჭრობას, საეჭვო წარმოშობის, არაჰიგიენურ მდგომარეობაში გაყიდულ რძესა და რძის ნაწარმს თავისი მომხმარებელი ჰყავს.

სიიაფის გარდა, ასეთი პროდუქციის გასაღებას ხელს უწყობს მომხმარებელთა მხრიდან საფრთხეების არასათანადო აღქმა და „გლეხური“ პროდუქციისადმი ბრმა ნდობა. როგორც CSRDG-ის დაკვეთით, 2023 წელს ჩატარებული კვლევით გამოვლინდა, საქართველოს მოსახლეობის 78% სრულიად ეთანხმება, ან ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სოფლის კვერცხი უვნებელია“, 61% სრულიად ეთანხმება, ან ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სოფელში მოყვანილი პროდუქცია აუცილებლად ნატურალურია“, ხოლო 42% სრულიად ეთანხმება, ან ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სოფელში წარმოებულ პროდუქციას არ სჭირდება შემოწმება“.[10]

ამავე კვლევით გამოვლინდა, რომ იმ პირთა ნახევარს, ვინც სასურსათო ობიექტში სურსათის უვნებლობის მოთხოვნების რაიმე დარღვევას შეესწრო, არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.[11]

თუმცა, აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ იმ რესპონდენტების ნახევარმა, რომელმაც სასურსათო ობიექტებში პრეტენზიები დააფიქსირა, ბიზნესოპერატორის მხრიდან რაიმე სახის პოზიტიური რეაგირება მიიღო (პროდუქტის შეცვლა, ვადაგასული ნაწარმის გაყიდვიდან ამოღება, თუ სხვა დარღვევის გამოსწორება), სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.[12] აღნიშნული მიგნება მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარებული მაღაზიების მონიტორინგის შედეგადაც დადასტურდა, რაც ზემოთაც ვახსენეთ.

მონიტორინგის დროს 3 მუნიციპალიტეტის 8 მაღაზიაში, 8 დარღვევის დაფიქსირების შემდეგ (3 პროდუქტი ვადაგასული აღმოჩნდა, 3 პროდუქტს ეტიკეტი ან თანდართული ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო 2 შემთხვევაში ეტიკეტი არ იკითხებოდა), მონიტორებმა, დარღვევების შესახებ, მაღაზიების პერსონალს მიუთითეს. განმეორებითი მონიტორინგის დროს, ყველა დარღვევა გამოსწორებული აღმოჩნდა.

---

[10] საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ანგარიშები, 2023 წ. ივნისი, გვ. 31.

[11] საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ანგარიშები, 2023 წ. ივნისი, გვ. 56.

[12] საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ანგარიშები, 2023 წ. ივნისი, გვ. 13.

აღნიშნული ფაქტები, მოქალაქეთა აქტიურობის შემთხვევაში, მდგომარეობის გაუმჯობესების დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

2.3 ლაბორატორიები

საქართველოში რძისა და რძის ნაწარმის მრავალი სახის კვლევაა დანერგილი. თუმცა, რიგი კვლევების შემთხვევაში, ლაბორატორიებს შორის არჩევანის საშუალება არ არის, ვინაიდან ისინი მხოლოდ ერთ ლაბორატორიაში კეთდება. ლაბორატორიების ნაკლებობაა რეგიონებში. ანალიზების ფასები კი საკმაოდ მაღალია და ბევრი მეწარმისათვის დიდ ბარიერს წარმოადგენს.

გარდა ამისა, საქართველოში პრაქტიკულად აუთვისებელია საკვებდანამატების კვლევები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა სურსათში და, მათ შორის, რძის ნაწარმში იქნეს გამოყენებული. ამ საკითხზე მეტი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამჟამად მიმდინარეობს სურსათის/აგროლაბორატორიების განვითარების კონცეფციაზე მუშაობა.[13] იმედია, გამოინახება გზები საქართველოში ლაბორატორიების სექტორის გასაძლიერებლად.[14]

2.4 სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისი მასშტაბები

სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისი მასშტაბები საქართველოში, ზოგადად, სურსათის უვნებლობის კუთხით ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წ. ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, **ბიზნესოპერატორთა ბაზა,** რომელზე დაყრდნობითაც სეს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ობიექტებს არჩევს, ძალზე არაზუსტია და ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ გაუქმებული ან ახლადდარეგისტრირებული ბიზნესოპერატორების შესახებ უწყება ინფორმაციას დროულად ფლობდეს. აუდიტის ანგარიშის თანახმად, სეს ეყრდნობა საჯარო რეესტრის მონაცემებს, რომელთა გამოთხოვაც პერიოდულად, თუმცა, ძალზე დიდი ინტერვალებით ხდება.[15]

ამასთანავე, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მართვის **ელექტრონულ სისტემას** გარკვეული ტექნიკური ხარვეზები გააჩნია, რაც მის ეფექტიან მუშაობას ხელს უშლის.[16]

---

[13] სურსათის/აგროლაბორატორიების განვითარების კონცეფციის წინასწარი ვერსია.

[14] საქართველოში სურსათის/აგროლაბორატორიების მდგომარეობის, გამოწვევებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ იხილეთ, აგრეთვე, 2022 წელს UNIDO-ს მიერ მომზადებული გზამკვლევი.

[15] ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში („სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 08.12.2021, გვ. 20. ეს პრობლემა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის ანგარიშშიც იყო მითითებული, რომელიც ასევე სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ეძღვნებოდა.

[16] ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში („სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 08.12.2021, გვ. 39.

სეს-ის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა, პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზემოაღნიშნული დასკვნის თანახმად, კვლავ აქტუალური იყო **შეუმოწმებლად დარჩენილი ობიექტების პრობლემა.** „მაღალრისკიანი ბიზნესოპერატორების შემოწმება ხორციელდება სრულად, საშუალორისკიანების – ნაწილობრივ, ხოლო დაბალრისკიანების შემოწმება ფაქტობრივად არ ხორციელდება.“[17] მაშინ როდესაც, „კარგი პრაქტიკის მიხედვით, საჭიროა გონივრული სიხშირეების დადგენა და დროის გარკვეულ პერიოდში რისკის სამივე (მაღალი, საშუალო, დაბალი) კატეგორიის დაფარვა სახელმწიფო კონტროლით“.[18]

დაბალრისკიან ობიექტებში შედის, მაგალითად, ვაჭრობა (გარდა აგრარული ბაზრებისა) და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ობიექტები. ამასთან, რისკების რანჟირებისას, საზოგადოებრივი კვების ობიექტები (გარდა საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკებისა) ორჯერ უფრო ნაკლები ქულით არიან შეფასებული, ვიდრე სურსათის წარმოება-გადამუშავება.[19] მაშინ როდესაც დიდია რძითა და რძის ნაწარმით მოვაჭრე, მათ შორის, შედარებით მცირე სავაჭრო ობიექტებისა და კვების ობიექტების რაოდენობა, რომლებიც საკუთარი პროდუქციის დასამზადებლად რძესა და რძის ნაწარმს მოიხმარენ. ასეთი ობიექტები ყველა ქალაქში მოიძებნება, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში.

ცხადია, რომ სეს-ის ზემოხსენებული მიდგომა რესურსების შეზღუდულობიდან მომდინარეობს და საუკეთესო გამოსავალი სახელმწიფო კონტროლისათვის მეტი რესურსის გამოყოფა იქნება. თუმცა, როგორც ჩანს, სეს-ს ჯერჯერობით არ შეუძლია კონტროლის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაზარდოს.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ მიკვლევადობის განხორციელებისას, ან სავარაუდო დარღვევების შესახებ სხვა უწყებებისა, თუ მოქალაქეებისაგან შეტყობინების მიღების შემთხვევაში, სეს ე.წ. დაბალრისკიან საწარმოებსაც ამოწმებს. ასე რომ, ეს სეგმენტი საერთოდ უკონტროლოდ არ არის დატოვებული. ამას მოწმობს, მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარებული, ყველის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების შედეგებიც, რაზეც ზემოთაც აღვნიშნეთ; კერძოდ, სეს-ის რეაგირება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოვლენილ დარღვევებზე.

CSRDG-ის პარტნიორმა ორგანიზაციებმა 12 მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული ნიმუში გამოავლინეს. მათი მიმართვების მიღებიდან რამდენიმე დღეში[20] სეს-მა 18 სურსათის ბიზნესოპერატორი შეამოწმა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც შედარებით მცირე მასშტაბის ბიზნესოპერატორები იყვნენ (წვრილმოვაჭრეები, სურსათის მაღაზიები,

---

[17] ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში („სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 08.12.2021, გვ. 21. ეს პრობლემა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის ანგარიშშიც იყო მითითებული, რომელიც ასევე სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ეძღვნებოდა.

[18] ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში („სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 08.12.2021, გვ. 22.

[19] სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, მ. 5,1 და დანართი №1.1.

[20] გამონაკლისს წარმოადგენდა სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სადაც სეს-მა მიმართვის მიღებიდან 7 დღეში განახორციელა კონტროლი.

ინდმეწარმეები). სეს-მა შეუსაბამობები დაუფიქსირა 10 მეწარმეს და მათი გამოსწორება დაავალა, ხოლო 8 მეწარმე დააჯარიმა. აქედან, 6 მეწარმე ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობდა, რის გამოც მათ, რეგისტრაციის გავლამდე, საქმიანობა აეკრძალათ.

ლაბორატორიული კვლევებისა და მათ შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე სეს-ის რეაგირების თაობაზე მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 1 „ყველის ნიმუშების შემოწმება“.

წლების განმავლობაში პრობლემად რჩება **ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე მოქმედი საწარმოების არსებობა, რომელთა გამოვლენასა და შესაბამისად კონტროლსაც სეს ვერ ახერხებს.** რძის სექტორში მოქმედი მეწარმეები ამ საკითხს დიდი ხანია აყენებენ. ისინი ბაზარზე უსამართლო კონკურენციას უჩივიან. მათი ინფორმაციით, ოჯახური მეურნეობების საფარქვეშ რძის პროდუქტების საწარმოები წლების მანძილზე საქმიანობენ. ისინი მეწარმეებად არ არიან რეგისტრირებული, შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადებს არ იხდიან, არც სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებიან და არც უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ზრუნავენ. მათი პროდუქციის თვითღირებულება ნაკლებია, მისი რეალიზაციის გზები გაკვალულია და იგი კონკურენციას უწევს იმ მეწარმეების საქონელს, რომლებიც კუთვნილ სახელმწიფო გადასახადებს იხდიან და მნიშვნელოვან რესურსს დებენ უვნებლობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ამ პრობლემის მასშტაბების შესახებ მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ, სფეროში მომუშავე პირთა დაკვირვებით, დაურეგისტრირებელ საწარმოთა რაოდენობა შემცირდა, ვინაიდან, ასეთმა მეწარმეებმა გაიგეს ლეგალურად მუშაობის უპირატესობები, სახელმწიფო, თუ დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით მოქმედი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობები და ბევრი მათგანი დარეგისტრირდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს პრობლემა ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის და მის აღმოსაფხვრელად არც რაიმე მუშაობა მიმდინარეობს, აღნიშვნად რომ ღირდეს.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის მოგვარებას სეს-ის, შემოსავლების სამსახურისა და სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლობა სჭირდება.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ასევე არ ვრცელდება **არაორგანიზებულ გარე ვაჭრობაზე,** რომელიც, ფაქტობრივად, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. იგი წარმოადგენს „შავ ხვრელს“ დაურეგისტრირებელი საწარმოებისა და უვნებლობის კუთხით საეჭვო პროდუქციის გასასაღებლად.

ვაჭრობის მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობაა. თუმცა, გარე ვაჭრობის რეგულირება რთული, სოციალური საკითხია და ათწლეულების განმავლობაში ვერ მოგვარდა.

საქართველოში პრაქტიკულად არ ხდება სურსათისა და მათ შორის, რძის ნაწარმის ლაბორატორიული კვლევა **საკვებდანამატებზე**. თანამედროვე ეპოქაში სურსათის წარმოებაში უამრავი საკვებდანამატი გამოიყენება. მათგან მომდინარე საფრთხეებისაგან ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად, ქვეყანაში, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საკვებდანამტების გამოყენება რეგლამენტირებულია.[21] არსებობს დასაშვებ საკვებდანამატთა

[21] საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

ნუსხა, გამოყენების დაშვებული ზღვრებით. მოთხოვნები განსხვავებულია სხვადასხვა სურსათთან და მათ ცალკეულ სახეობებთან მიმართებაში. თუმცა, საკვებდანამატებზე სურსათის ლაბორატორიული კვლევები არც ადგილობრივ ლაბორატორიებსა აქვთ დანერგილი (ცალკეული გამონაკლისების გარდა) და არც საზღვარგარეთ ხდება ნიმუშების გაგზავნა.

ცხადია, ეს მნიშვნელოვან დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ყველა არსებულ, დაშვებულ ან აკრძალულ საკვებდანამატზე სურსათის ერთდროული კვლევა შეუძლებელია. ასეულობით, თუ ათასეულობით საკვედანამატიდან კი რთულია ისეთების შერჩევა, რომლებიც საქართველოს მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ რისკს წარმოადგენენ. ამას დამატებითი კვლევები სჭირდება.

გასაგებია, რომ სურსათის უვნებლობის რეფორმის პირველ ეტაპზე მყისიერ საფრთხეებზე (მოწამვლა, ზოონოზური დაავადებები) უფრო მეტი ყურადღება მახვილდება, ვიდრე ისეთ საფრთხეებზე, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას, რაც, მათ შორის, საკვებდანამატების არასათანადო გამოყენებიდან მომდინარეობს. თუმცა, მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროა, რომ სახელმწიფო კონტროლი საქართველოში ამ მიმართულებითაც უფრო აქტიურად განვითარდეს.

და ბოლოს, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მასშტაბებთან დაკავშირებული უდიდესი პრობლემა **გლეხური მეურნეობების უკონტროლობაა.**

გლეხური მეურნეობების დიდი ნაწილი, განსხვავებული ინტენსივობით, მაგრამ რეგულარულად აწვდის ბაზარს სხვადასხვა პროდუქტს, მათ შორის, რძესა და რძის ნაწარმს. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, საქართველოში 600 ათასზე მეტი სასოფლო მეურნეობა იყო, რომელთაგან 400 ათასზე მეტს პირუტყვი, ფრინველი, ან ფუტკარი ჰყავდა. ამ მეურნეობების დაახლოებით 97% იურიდიულ პირად არ იყო რეგისტრირებული.[22] ამასთანავე, 2023 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით, საქართველოში აღრიცხული იყო 865 ათასამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათი ნახევარი - ფური.[23]

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი განსაზღვრავს „ოჯახურ წარმოებას“, რაც გულისხმობს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით.[24] ოჯახური წარმოებები სეს-ის გარკვეულ კონტროლს ექვემდებარებიან, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის კუთხით. თუმცა, სურსათის სახელმწიფო კონტროლი მათზე არ ვრცელდება, ისე, როგორც ეს სხვა სურსათის ბიზნესოპერატორების შემთხვევაშია.[25]

რა იგულისხმება „არაორგანიზებულად წარმოებაში“ კოდექსში არ არის დაზუსტებული და ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას ტოვებს. საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ

---

[22] 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია მეურნეობების შესახებ, ცხრილი 1.1. მეურნეობების რაოდენობა მეურნის იურიდიული სტატუსის მიხედვით (ერთეული), ცხრილი 1.9. მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით, პირუტყვით, ფრინველითა და ფუტკრის ოჯახით (ერთეული).

[23] საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2023 წლის III კვარტალი (წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 16.11.2023, გვ. 1.

[24] სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მ. 2, ჭ).

[25] სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მ. 1, 6-7.

2020 წლის იანვარში განისაზღვრა თუ რას ნიშნავს „არაორგანიზებული წარმოება“ და გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა ოჯახური წარმოებების უკეთ გასაკონტროლებლად. კერძოდ, 2020 წელს მთავრობამ დაამტკიცა სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი (შემდგომში „არაორგანიზებული წარმოების წესი“), რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ „ოჯახური წარმოების სუბიექტი“ არის ფიზიკური პირი[26] და ჩამოყალიბდა სამეურნეო „სიმძლავრეების“ ის ზედა ზღვრები, რომლებიც შეიძლება ოჯახური წარმოების სუბიექტს გააჩნდეს, იმისათვის, რომ არაორგანიზებული წარმოების კატეგორიაში გავიდეს. ესაა, მაგალითად, არაუმეტეს 5 მსხვილფეხა პირუტყვის, ან 300 ფრთა ფრინველის, ან 2 ჰა მიწის ფლობა და სხვა.[27]

„არაორგანიზებული წარმოების წესის“ თანახმად, ოჯახური წარმოების სუბიექტი სეს-ში უნდა დარეგისტრირდეს და მის მიერ წარმოებული/გადამუშავებული სურსათი მიკვლევადი უნდა იყოს, რისთვისაც მას თან უნდა ახლდეს ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი,[28] რაც იგივე ფიზიკური პირის პირადი ნომერია.[29]

ოჯახური წარმოების სუბიექტი, ასევე, ვალდებულია, რომ მის მიერ წარმოებული სურსათი უვნებელი იყოს.[30]

თუმცა, გარდა ვეტერინარიასა და ფიტოსანიტარიასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა, „არაორგანიზებული წარმოების წესში“ გაწერილი მოთხოვნები ან არ ატარებს სავალდებულო ხასიათს ან იძულების მექანიზმი არ არსებობს და, შესაბამისად, ამ კუთხით მათი შესრულების კონტროლიც არ ხდება.

ამოქმედებიდან თითქმის 4 წლის თავზე, „არაორგანიზებული წარმოების წესის“ ფაქტობრივ უმოქმედობაზე ისიც მეტყველებს, რომ, ამ წესის შესაბამისად, სულ რამდენიმე ასეული პირია რეგისტრირებული.

ამასთანავე, როგორც ჩანს, სასოფლო მეურნეობების უმრავლესობა, რომელიც შედარებით მსხვილია და, ოჯახური წარმოების კატეგორიაში ვერ გადის, სურსათის ბიზნესოპერატორად არ დარეგისტრირებულა და, შესაბამისად, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ისევ არ ექვემდებარება.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, საქართველოში აღრიცხული იყო 55 ათასზე მეტი სასოფლო მეურნეობა, რომელსაც 5 ან მეტი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავდა (კამეჩის გარდა).[31] მაშინ, როდესაც სურსათის ბიზნესოპერატორად სულ დაახლოებით 50-60 ათასი ბიზნესოპერატორია რეგისტრირებული (მონაცემები მერყეობს წლების მიხედვით). ამ რაოდენობაში ყველა ტიპის მეწარმე შედის: პირველადი წარმოებიდან დაწყებული, საცალო ვაჭრობით დამთავრებული.

თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არსებული რესურსებით, სეს-ს რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების გაკონტროლებაც უჭირს. გასაკონტროლებელი ობიექტების რაოდენობის რამდენჯერმე ზრდის შემთხვევაში კი მათი ეფექტიანი კონტროლი წარმოუდგენელია.

---

[26] სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი, მ. 2.
[27] სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი, მ. 4.
[28] სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი, მ. 3,1.
[29] სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი, მ. 6,4.
[30] სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი, მ. 3,1.
[31] 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნაწილი 5. პირუტყვი, ფრინველი და ფუტკრის ოჯახები, ცხრილი 5.11. მეურნეობების განაწილება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის მიხედვით (კამეჩის გარდა) (ერთეული).

რაც შეეხება **ვეტერინარიასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებს,** რომლებიც ოჯახურ წარმოებებზეც ვრცელდება და რძისა და რძის ნაწარმის მწარმოებლებსაც ეხება, ესაა გადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოწამვლების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება და ცხოველთა საიდენტიფიკაციო-სარეგისტრაციო ღონისძიებებში ჩართვა.[32] ამ ღონისძიებებს, ძირითადად, სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ან უცხოელ დონორთა დაფინანსებით ახორციელებს, რაზეც ზემოთ აღვნიშნეთ. ბიზნესოპერატორებს, მათ შორის, ოჯახურ წარმოებებს ამ ღონისძიებებში მონაწილეობა ევალებათ.

2.5 წვრილი მეურნეობების სიმრავლისა და სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისი მასშტაბების ძირითადი შედეგები

სასურსათო ბაზრის დიდი ნაწილის უკონტროლოდ დატოვება უარყოფითად მოქმედებს **მეწარმეთა ზოგად მოტივაციაზე** სურსათის უვნებლობის მოთხოვნები სათანადოდ დაიცვან. ეს ხელს უშლის თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და პასუხისმგებლიანი სამეწარმეო სექტორის ჩამოყალიბებას, რაც მთელი ქვეყნის განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას აფერხებს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არაკეთილსაიმედო სურსათი კონკურენციას უწევს იმ მეწარმეთა პროდუქციას, რომლებიც სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვას ცდილობენ. ამ უკანასკნელთათვის კანონმორჩილება მოგების ზრდის, ან შენარჩუნების პირდაპირპროპორციული არ არის. ეს შეიძლება პირიქითაც კი იყოს.

ცხადია მეწარმეთა 100%-იანი კონტროლი შეუძლებელია და არც არის სასურველი, მაგრამ, უნდა ჩამოყალიბდეს ტენდენცია, რომ სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვა მეწარმეებისათვის ფინანსურად მომგებიანი, ან, სულ მცირე, სტაბილური მუშაობის გარანტია გახდეს. მანამდე შეუძლებელი იქნება ქვეყანაში სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემის შექმნა.

ვეტერინარული პროგრამების განხორციელებაში (ვაქცინაცია, ცხოველთა გამოკვლევები, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია) სახელმწიფო ყოველწლიურად მილიონობით ლარს ხარჯავს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართვა გლეხებისათვის სრულიად უფასოა, საწყის ეტაპზე მათ განხორციელებას მესაქონლეთა მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე არ ჩაუვლია. გლეხები აღნიშნული ღონისძიებების საჭიროებებში სათანადოდ გათვითცნობიერებული არ იყვნენ და მათ ეჭვის თვალით უყურებდნენ. თუმცა, წლების განმავლობაში წინააღმდეგობა საგრძნობლად შემცირდა, და, როგორც ჩანს, პროცესი მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გარეშე მიმდინარეობს, თუმცა, გარკვეული ხარვეზები და სირთულეები მაინც რჩება.

მთავარი ის არის, რომ დაავადებების სრული აღმოფხვრისა და რძის სისუფთავის მიღწევის შესაძლებლობები შეზღუდულია შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო:

- გლეხური მეურნეობების უმრავლესობაში ჰიგიენური მოთხოვნების სათანადო დაუცველობის გარეშე, აცრების ეფექტიანობა იკლებს.
- დაავადებების გავრცელებასა და რძის დაბინძურებას ხელს უწყობს საქონლის ფართო არეალში, ხშირად უკონტროლო, უმეთვალყურეო გადაადგილების

[32] სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი, მ. 18[2].

პრაქტიკა, რაც საქართველოში არსებობს, ისევე, როგორც სეზონური გადაადგილება, ზოგიერთ მხარეში. ეს დაავადებების სწრაფი გავრცელებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. დაბინძურებულ გარემოში, ზოგან სანაგვეებზე კვება კი შესაბამისად აისახება რძის უვნებლობაზე.

დაავადება ბრუცელოზის აღმოფხვრის დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორია ფინანსური ზარალი, რომელსაც გლეხები მათ საქონელში ამ დაავადების აღმოჩენის დროს განიცდიან.

ბრუცელოზის გამოვლენისას, მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ცხოველი სპეციალური წესით უნდა დაიკლას და, მწვავე შემთხვევებისას, საქონლის ხორცი თერმულად უნდა დამუშავდეს. საქონლის, განსაკუთრებით კი მეწველი ძროხის დაუგეგმავი, ნაადრევი დაკვლა მისი მფლობელისათვის, ცხადია, წამგებიანია. ამას ისიც ემატება, რომ ხორცით მოვაჭრეები, ასეთ საქონელს, თუ მის ხორცს დაბალ ფასად ყიდულობენ. ამის გამო, გლეხების ნაწილი მისი კუთვნილი პირუტყვის დაავადებას არ ამჟღავნებს და მას როგორც ჯანმრთელს, ისე ყიდის. დარგის სპეციალისტებს ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად საქონლის მფლობელებისათვის კომპენსაციის გადახდის მექანიზმის დანერგვა მიაჩნიათ. თუმცა, ეს მხოლოდ 2026 წლიდანაა გათვალისწინებული.

და ბოლოს, ვაქცინაციები, დაავადებების დიაგნოსტიკა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, თითქმის მთლიანად სახელმწიფოზეა ჩამოკიდებული. ეს ღონისძიებები მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ან უცხოელ დონორთა დახმარებით ხორციელდება. ყოველივე ეს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დიდ ტვირთს წარმოადგენს და ამ ღონისძიებების ფასიან მომსახურებებად გარდაქმნა ჯერჯერობით დღის წესრიგში სერიოზულად არ დგას, მდგომარეობის გაუარესების შიშით. სპეციალისტთა დაკვირვებით, გლეხების უმრავლესობა არ არის მზად ასეთი მომსახურებისათვის ხარჯები გაიღოს. ასე რომ, დღევანდელი გადასახედიდან რთულია იმის პროგნოზირება, თუ როდის გახდება შესაძლებელი ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსაიმედოობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

დაუძლეველ პრობლემად რჩება სურსათის, მათ შორის, რძისა და რძის ნაწარმის **ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებით დაბინძურება.** ძლიერმოქმედი პრეპარატები (მაგ. ანტიბიოტიკები) რეცეპტის გარეშე იყიდება როგორც ვეტერინარულ, ისე ადამიანებისათვის განკუთვნილ აფთიაქებში. სფეროში მომუშავე სპეციალისტების დაკვირვებით, გლეხურ მეურნეობებში პირუტყვის ვეტპრეპარატებით მკურნალობა, ხშირ შემთხვევაში, ვეტერინართან კონსულტაციის გარეშე ხდება, ხოლო დაყოვნების ვადებს,[33] ძირითადად, არ იცავენ.

გამოწვევად რჩება რძისა და რძის ნაწარმის **მიკრობიოლოგიური დაბინძურება,** განსაკუთრებით წვრილ, მათ შორის, ოჯახურ წარმოებებში ელემენტარული ჰიგიენური მოთხოვნების დაუცველობის გამო. ამაზე CSRDG-ის ინიციატივით 2023 წელს ჩატარებული ყველის ლაბორატორიული კვლევების შედეგებიც მოწმობს.

საქართველოს 14 მუნიციპალიტეტში აღებული ყველის 42 ნიმუშიდან 12 მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული აღმოჩნდა. აქედან, 11 ნიმუში არაეტიკეტირებული იყო. აქედან მხოლოდ 3 ნიმუშის მწარმოებლების იდენტიფიკაცია მოხერხდა და ისინი

[33] ზოგიერთი მედიკამენტის, მაგალითად, ანტიბიოტიკების მიცემის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, ძროხისაგან მიღებული რძე უნდა გადაიღვაროს, ვინაიდან მასში მედიკამენტების ნარჩენები გადადის.

წვრილი/მცირე მეწარმეები იყვნენ. დანარჩენი ნიმუშებით მოვაჭრეების ინფორმაციაზე დაყრდნობითაც მათ მიერ გაყიდული ყველის მწარმოებლებიც წვრილი/მცირე მეწარმეები იყვნენ.

კოლიფორმებზე შემოწმდა ყველა, 42 ნიმუში, (კოაგულაზა დადებით) სტაფილოკოკზე - 15 ნიმუში, ხოლო სალმონელაზე - 27 ნიმუში.

კოლიფორმები აღმოჩნდა 11 ნიმუშში, (კოაგულაზა დადებითი) სტაფილოკოკი - 4 ნიმუშში, ხოლო სალმონელა - 1 ნიმუშში.

ლაბორატორიული შემოწმებების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ დანართ 1-ში „ყველის ნიმუშების შემოწმება“.

მწვავედ დგას სავაჭრო ქსელში არსებული სურსათის, მათ შორის, რძის ნაწარმის **მიკვლევადობის საკითხი.** ეს განსაკუთრებით ეხება წვრილ მოვაჭრეებს, რომლებიც, თავის მხრივ, საქონელს წვრილი მწარმოებლებისაგან, მათ შორის, ოჯახური მეურნეობებისაგან იღებენ. CSRDG-ის ინიციატივით ჩატარებული ყველის ზემოაღნიშნული შემოწმების შედეგები ამ პრობლემაზეც მოწმობს.

საქართველოს 14 მუნიციპალიტეტში უმეტესად წვრილმოვაჭრეებთან ნაყიდი 27 არაეტიკეტირებული ნიმუშიდან, 21-ის მწარმოებელი გაურკვეველი იყო. მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული 11 არაეტიკეტირებული ნიმუშიდან, შეძენისას მხოლოდ ერთის მწარმოებელი გახდა ცნობილი. დარღვევების შესახებ სეს-ისადმი მიმართვის შემდეგ, ამ უკანასკნელმა დამატებით მხოლოდ 2 ნიმუშის მწარმოებლის დადგენა მოახერხა.

არაეტიკეტირებული ყველის გამყიდველების უმრავლესობამ პროდუქტის ზუსტი მწარმოებელი ვერ დაასახელა, ან მისი ვინაობა არ გაამხილა.

CSRDG-ის პარტნიორი ორგანიზაციების დაკვირვებით, გამყიდველების ნაწილი არაეტიკეტირებულ ყველს ყოველ ჯერზე სხვადასხვა პირისგან ყიდულობს და ცალკეულ პროდუქტებს ერთმანეთში ურევს. ასე რომ, თითოეულის იდენტიფიცირება შეუძლებელია.

ზოგ შემთხვევაში თავად გამყიდველებმა აღიარეს, რომ მათ მიერ გაყიდული ყველი აღურიცხავია, გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად.

დასკვნები

საკითხების შინაარსიდან გამომდინარე, დასკვნები გარკვეულწილად სცდება უშუალოდ რძისა და რძის ნაწარმის უვნებლობისა და კონტროლის თემას.

1. რძე და რძის ნაწარმი, რიგ სხვა პროდუქციასთან ერთად, მომეტებული საფრთხის მქონე საქონლად ითვლება, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიერ ამ პროდუქციის, მისი წარმოება-გადამუშავებით, დისტრიბუციითა, თუ გაყიდვით დაკავებული ბიზნესოპერატორების შედარებით მაღალი სიხშირით კონტროლი მიმდინარეობს.
2. ქვეყანა ვეტერინარული კადრების დიდ დეფიციტს განიცდის. ვეტერინართა საშუალო ასაკი 50 წელს აჭარბებს, უმაღლეს სასწავლებლებში ამ სპეციალობაზე ახალგაზრდების შედინება მცირეა, ხოლო კურსდამთავრებულების უმრავლესობა სასურსათო დანიშნულების ცხოველებთან მუშაობას თავს არიდებს.
3. სურსათის სფეროში მოქმედ მეწარმეთა და მომხმარებელთა დიდ ნაწილს სურსათიდან მომდინარე საფრთხეები სათანადოდ გაცნობიერებული არა აქვს. სურსათის წარმოებისას ჰიგიენური მოთხოვნების დაცვისა, თუ საკუთრებაში მყოფი სასურსათო დანიშნულების ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნვის პრაქტიკა სათანადოდ არ არის განვითარებული. მეორე მხრივ, საეჭვო წარმოშობის, არაჰიგიენურ მდგომარეობაში გაყიდულ სურსათს თავისი მომხმარებელი ჰყავს. სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დარღვევებზე მომხმარებელთა რეაგირების დონე დაბალია.
4. სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ლაბორატორიული კვლევების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია საკვლევი პარამეტრების, ფასებისა და ლაბორატორიების გეოგრაფიული განაწილების კუთხით.
5. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მასშტაბები არ არის საკმარისი:
   - სეს-ს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წ. ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში შესული რეკომენდაციები მის კონტროლქვედებარე ბიზნესოპერატორების ბაზისა და სახელმწიფო კონტროლის მართვის ელექტრონული სისტემის ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.
   - რესურსების შეზღუდულობის გამო, სეს-ის მიერ განხორციელებული გეგმური კონტროლი პრაქტიკულად არ ვრცელდება სურსათის ბიზნესოპერატორებად რეგისტრირებულ „დაბალი რისკის“ კატეგორიაში შემავალ მეწარმეებზე, რაშიც, სხვებთან ერთად, სურსათის მაღაზიები და მცირე მეწარმის სტატუსის მქონე ობიექტები შედიან.
   - რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლები ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე მოქმედი კონკურენტი საწარმოების არსებობას უჩივიან, რომლებიც ყოველგვარი კონტროლის გარეშე მუშაობენ.
   - სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება არაორგანიზებულ გარე ვაჭრობაზე, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. იგი წარმოადგენს „შავ ხვრელს“ დაურეგისტრირებელი საწარმოებისა და უვნებლობის კუთხით საეჭვო პროდუქციის გასასაღებლად.
   - საქართველოში პრაქტიკულად არ ხდება სურსათისა და, მათ შორის, რძის ნაწარმის ლაბორატორიული კვლევა საკვებდანამატებზე. ამ პარამეტრებზე სურსათის ლაბორატორიული კვლევები არც ადგილობრივ ლაბორატორიებსა აქვთ

დანერგილი (ცალკეული გამონაკლისების გარდა) და ნიმუშების გაგზავნა არც საზღვარგარეთ ხდება.

- და ბოლოს, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მასშტაბებთან დაკავშირებული უდიდესი პრობლემა გლეხური მეურნეობების უკონტროლობაა. გლეხური მეურნეობების დიდი ნაწილი, განსხვავებული ინტენსივობით, მაგრამ რეგულარულად აწვდის ბაზარს სხვადასხვა პროდუქტს, მათ შორის, რძესა და რძის ნაწარმს. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, საქართველოში 600 ათასზე მეტი სასოფლო მეურნეობა იყო. გლეხური მეურნეობები სეს-ის გარკვეულ კონტროლს ექვემდებარებიან ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის კუთხით. თუმცა, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მათზე პრაქტიკულად არ ვრცელდება. სეს-ს ამისათვის საჭირო რესურსები არ გააჩნია და ამაზე საკანონმდებლო ბაზაც არ არის მორგებული.

6. წვრილი მეურნეობების სიმრავლე და სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისი მასშტაბები შემდეგ ძირითად შედეგებს იწვევს:
   - სასურსათო ბაზრის დიდი ნაწილის უკონტროლოდ დატოვება უარყოფითად მოქმედებს მეწარმეთა ზოგად მოტივაციაზე სურსათის უვნებლობის მოთხოვნები სათანადოდ დაიცვან. ეს ხელს უშლის თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და პასუხისმგებლიანი სამეწარმეო სექტორის ჩამოყალიბებას, რაც მთელი ქვეყნის განვითარებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას აფერხებს. არაკეთილსაიმედო სურსათი კონკურენციას უწევს იმ მეწარმეთა პროდუქციას, რომლებიც სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვას ცდილობენ. ამ უკანასკნელთათვის კანონმორჩილება მოგების ზრდის, ან შენარჩუნების პირდაპირპროპორციული არ არის. ეს შეიძლება პირიქითაც კი იყოს.
   - ცხოველური დაავადებებისაგან ქვეყნის დასაცავად და ცხოველური წარმოშობის სურსათის მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად სეს წლების მანძილზე ახორციელებს მასობრივ ვეტერინარულ პროგრამებს: (რიგ დაავადებებზე) სასურსათო დანიშნულების ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტიკასა და ვაქცინაციას, ასევე, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას. ეს ღონისძიებები მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან უცხოელ დონორთა დახმარებით ხორციელდება და სახელმწიფოსათვის დიდ ტვირთს წარმოადგენს.
   - სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, მეცხოველეთა (განსაკუთრებით კი წვრილი მეურნეობების) მხრიდან ელემენტარული ჰიგიენური ნორმების, სურსათის უვნებლობის მოთხოვნებისა და ცხოველის ჯანმრთელობაზე არასათანადო ზრუნვის გამო, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგიანობა შეზღუდულია. დაუძლეველ პრობლემებად რჩება დაავადება ბრუცელოზი, რძის ნაწარმის მიკრობიოლოგიური და ვეტერინარული პრეპარატებით დაბინძურება, ასევე, პროდუქციის მიკვლევადობა.

7. რძისა და რძის ნაწარმის, ისევე, როგორც, მთლიანობაში, სურსათის უვნებლობის კუთხით, საქართველოში „ჩაკეტილი წრე“ ჩამოყალიბდა, რომლის გარღვევის გარეშეც მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და განვითარების შემდგომ საფეხურზე ასვლა ვერ მოხერხდება. ეს „ჩაკეტილი წრე“ შემდეგში მგომარეობს:

- მეწარმეთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი წვრილი მეწარმეები, მათ შორის, გლეხური მეურნეობები, არ ან/და ვერ იცავენ სურსათის უვნებლობის საბაზისო

მოთხოვნებს, საკმარისი ინფორმაციის, რესურსების ან/და მოტივაციის არქონის გამო. საქართველოში არსებული სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, რომლის დიდ ნაწილსაც წვრილი, დაბალპროდუქტიული გლეხური მეურნეობები შეადგენენ, ზღუდავს განვითარებას, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე კვების მრეწველობის მიმართულებით. ბაზარზე არ არის საკმარისი კონკურენცია, რათა ეს პრობლემა უახლოეს მომავალში თავისთავად მოგვარდეს.

- სასურსათო ბაზრის ეფექტიანი კონტროლისათვის სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი რესურსი და მოტივაცია, განსაკუთრებით კი მცირე მეწარმეებისა და გლეხური მეურნეობების გასაკონტროლებლად. სახელმწიფო რესურსის დიდი ნაწილი ფაქტობრივად სუბსიდიების სახით მიემართება დაბალპროდუქტიული მეურნეობების შესანარჩუნებლად (ცხოველთა კვლევები, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია) და მათგან მომდინარე საფრთხეების გარკვეულ, „ასატან“ დონეზე შესანარჩუნებლად, მაგრამ არა აღმოსაფხვრელად. მაღალპროდუქტიული, განვითარებული და, შესაბამისად, უფრო უვნებელი პროდუქციის წარმოების მიერ განუვითარებელი წარმოების სწრაფად ჩასანაცვლებლად საკმარისი ხელშეწყობა არ ხდება. სწორი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მთავარი შემაფერხებელი, სავარაუდოდ, სოციალური დაძაბულობის ზრდის საფრთხე, თუ არჩევნებში მოქალაქეთა მხარდაჭერის მოპოვების საჭიროებაა. ასეთი მიდგომა, საბოლოო ჯამში, საზოგადოების არც ერთი ფენის მდგომარეობის გაუმჯობესებას არ უწყობს ხელს, მათ შორის იმ სოციალური ფენისა, რომლის ინტერესებსაც ვითომდაც იცავს. ეს უფრო არსებული მდგომარეობის, მათ შორის, სიღარიბისა, თუ შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების კონსერვაციას იწვევს, რისი დაძლევაც, ამ სიტუაციაში, თავად შეჭირვებულ ფენას არ შეუძლია.
- მოქალაქეთა დიდ ნაწილს სურსათიდან მომდინარე საფრთხეები სათანადოდ გაცნობიერებული არა აქვს, ყოფითი პრობლემებითაა დამძიმებული და სურსათის უვნებლობის საკითხები მისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. სხვადასხვა მითი და სტერეოტიპი ხელს უშლის მას სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საფრთხეები ადეკვატურად აღიქვას, ხოლო მისთვის ხილული პრობლემები გააპროტესტოს. სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით გარღვევის მოსახდენად საკმარისად ძლიერი „საზოგადოებრივი დაკვეთა“ არ არსებობს.

8. ამ „ჩაკეტილი წრის“ გარღვევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოტივატორიცა და საშუალებაც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაა, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ეს ფაქტორია სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე რეფორმების მთავარი მამოძრავებელი ძალა 2010 წლიდან მოყოლებული. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დაახლოება ევროკავშირის მოდელთან აქტიურად და თანმიმდევრულად მიმდინარეობს. ამას 2023 წელს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაც დაემატა, რაც ერთი-ორად ზრდის სახელმწიფოსა, თუ ყველა იმ აქტორის მოტივაციას, ვისაც ქვეყნისათვის ამ შესაძლებლობის მნიშვნელობა აქვს გაცნობიერებული. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში დიდ რესურსს თავად ევროკავშირი დებს. ასე რომ, ამ გზას საქართველო მარტო არ გადის. ზემოაღნიშნული

მნიშვნელოვანი ფაქტორის მიუხედავად, „ჩაკეტილი წრის“ გარღვევა მაინც რთული იქნება და მარტივი გამოსავალი არ არსებობს.

ამ მხრივ, მოცემული კვლევის რესპონდენტების ნაწილი იმედით უყურებდა მეცხოველეობის ახალი სტრატეგიის მიღებას, რომელიც კვლევის მომზადების პროცესში მუშავდებოდა. იმედია, ეს დოკუმენტი ზემოაღნიშნული დაბრკოლებების დაძლევას მართლაც შეუწყობს ხელს.

რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ

1. გადაიხედოს მიდგომები სურსათის სექტორში მომუშავე წვრილი მეწარმეებისა და გლეხური მეურნეობების ხელშეწყობისა და კონტროლის მიმართ. დასახულ იქნეს კონკრეტული ვადები სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მეწარმეთა ყველა კატეგორიაზე გასავრცელებლად და გადაიდგას კონკრეტული და თანმიმდევრული ნაბიჯები განუკითხაობის „შავი ხვრელების“ ამოსავსებად, მათ შორის:
   - სეს-მა შეასრულოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წ. ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში შესული რეკომენდაციები მის კონტროლქვედებარე ბიზნესოპერატორების ბაზისა და სახელმწიფო კონტროლის მართვის ელექტრონული სისტემის ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
   - გამოინახოს შესაძლებლობები, რათა სურსათის უვნებლობის გეგმურ კონტროლს მიღმა არ დარჩნენ „დაბალი რისკის“ კატეგორიაში შემავალი მეწარმეები.
   - გადაიდგას ნაბიჯები ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე მოქმედი რძის პროდუქტების მწარმოებელი საწარმოების გამოსავლენად და მათი სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლისადმი დასაქვემდებარებლად.
   - აღიკვეთოს უკანონო გარე ვაჭრობა.
   - შეფასდეს საკვებდანამატებიდან მომდინარე აქტუალური საფრთხეები, შემუშავდეს პრიორიტეტული მიდგომები და გაფართოვდეს საკვებდანამატების ჩამონათვალი, რომელთა შემცველობაზეც სურსათის ლაბორატორიული კვლევები ჩატარდება.
   - მესაქონლეებს დაეკისროთ ძირითადი პასუხისმგებლობა საკუთარი საქონლის ჯანმრთელობასა და მიკვლევადობაზე ზრუნვისათვის.
   - შეიზღუდოს როგორც ცხოველისათვის, ისე ადამიანისათვის განკუთვნილი ანტიბიოტიკების გაყიდვა და ისინი მხოლოდ ექიმის/ვეტერინარის რეცეპტით გაიცეს.
   - მეტად იქნენ წახალისებული ის მეწარმეები, რომლებიც სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვას ცდილობენ.
2. მეტი ძალისხმევა იქნეს მიმართული ვეტერინარის პროფესიის მიმზიდველობის გაზრდისა და კადრების მომზადებისაკენ: სახელმწიფოს მიერ დასაქმებული ვეტერინარების სამუშაო პირობების გაუმჯობესება, უმაღლეს სასწავლებლებში (განსაკუთრებით კი რეგიონებში) ვეტერინარიის სწავლებისა და სწავლის მეტი ხელშეწყობა.

3. გადაიხედოს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობისა და მეწარმეების ინფორმირების აქამდე არსებული პრაქტიკა და განხილულ იქნეს მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები.
4. სურსათის უვნებლობის კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობას მეტად შეეწყოს ხელი.[34]
5. სასურსათო ლაბორატორიების სექტორის განვითარებისა და მის მიმართ მეწარმეთა ხელმისაწვდომობის გაზრდის მწყობრი სტრატეგია შემუშავდეს და თანმიმდევრულად განხორციელდეს.

სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოში მომუშავე დონორი, საერთაშორისო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების მიმართ

საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებში, ასევე, მომავალი ინტერვენციების დაგეგმვისას მეტი ძალისხმევა გაიწიოს ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების შესრულების ხელშესაწყობად.

[34] მოქალაქეთა ინფორმირებისა და გააქტიურების კუთხით უფრო კონკრეტული რეკომენდაციები იხ. საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ანგარიშები, 2023 წ. ივნისი.

დანართი 1. ყველის ნიმუშების შემოწმება[35]

2023 წლის სექტემბერ-ოქტომბერში CSRDG-ის 9 პარტნიორმა ორგანიზაციამ საქართველოს 14 მუნიციპალიტეტში ყველის ნიმუშები შეიძინა და ლაბორატორიას ჩააბარა.

მეთოდოლოგია

- შესამოწმებლად შერჩეულ იქნა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რძის ნაწარმი - ყველი.
- შემოწმების პარამეტრებად განისაზღვრა ყველის სამი გავრცელებული დამაბინძურებელი: კოლიფორმები, სალმონელა და (კოაგულაზა დადებითი) სტაფილოკოკი.
- თითოეულ ორგანიზაციას უნდა შეეძინა 5 ნიმუში, ანუ, ჯამში 45 ნიმუში უნდა შემოწმებულიყო.
- თითოეულ ორგანიზაციას ნიმუშები უნდა შეეძინა საქართველოს ერთ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტში, სადაც პარტნიორულ პროექტს ახორციელებდა.
- სასურველი იყო „იმერული“ ან სხვა ისეთი სახეობის ყველის შეძენა, რომლის დასამზადებლად რძის ადუღება არ არის საჭირო და, შესაბამისად, მიკრობიოლოგიური დაბინძურების შანსები უფრო დიდია.
- ეტიკეტირებულ და არაეტიკეტირებულ პროდუქციას შორის განსხვავებების სანახავად ორივე სახის ნიმუშები უნდა შეძენილიყო.
- ვინაიდან არაეტიკეტირებული ყველი, დიდი ვარაუდით, არაქარხნულია, ან მისი დამზადების პირობები საეჭვოა, თითოეულ ორგანიზაციას უნდა შეესყიდა 3 არაეტიკეტირებული და 2 ეტიკეტირებული ნიმუში, სათადარიგო ნიმუშებთან ერთად, რომლებიც იმავე პარტიის უნდა ყოფილიყო. სათადარიგო ნიმუშების შეძენა ხელახალი შემოწმების საჭიროებისათვის უნდა მომხდარიყო.
- თითო ნიმუშის წონა მინიმუმ 500 გ. უნდა ყოფილიყო, რაც ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლადაა საჭირო.
- თითოეული შესამოწმებელი ნიმუში სხვადასხვა პარტიის უნდა ყოფილიყო.
- სასურველი იყო ყველა ნიმუში სხვადასხვა მწარმოებლის მიერ ყოფილიყო დამზადებული.
- ნიმუშები უნდა შეძენილიყო ისეთ სავაჭრო ადგილებში, რომლებსაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს.
- სასურველი იყო სავაჭრო ობიექტებს/მოვაჭრეებს შორის, რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო მოუწესრიგებელი, სადაც დარღვევების მეტი ალბათობა არსებობდა.
- შეძენისას მოვაჭრეს უნდა გაეცა შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან შესყიდვის ოქმზე მოეწერა ხელი.
- არაეტიკეტირებული ყველის შეძენისას მოვაჭრისგან პროდუქტის მწარმოებლის მონაცემები უნდა გამოთხოვილიყო.
- ნიმუშები არ უნდა დაჭრილიყო.

[35] სრული ინფორმაცია იხ. https://www.momxmarebeli.ge/articles/all/6813.

- შეფუთული ნიმუშები გაუხსნელად, ან შეუფუთავი ნიმუშები, მოვაჭრის მიერვე ჩადებულ პოლიეთილენის პარკებში უნდა მოთავსებულიყო გადასატან მაცივრებში და ამ გზით უნდა მიტანილიყო ლაბორატორიაში.
- შეძენილი ნიმუშები იმავე დღეს უნდა მიტანილიყო ლაბორატორიაში, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით.
- ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ობიექტები/მოვაჭრეები უნდა შერჩეულიყვნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.
- ბიუჯეტის შეზღუდულობის გამო, გადაწყდა სამიდან ყველაზე გავრცელებულ დამაბინძურებელზე - კოლიფორმებზე შემოწმებულიყო ყველა ნიმუში, სამი დამაბინძურებლიდან ყველაზე საშიშზე, სალმონელაზე შემოწმებულიყო თითოეული ორგანიზაციის მიერ შეძენილი 5 ნიმუშიდან 3 (2 არაეტიკეტირებული, 1 ეტიკეტირებული), ხოლო შედარებით ნაკლებად გავრცელებულ და საშიშ (კოაგულაზა დადებით) სტაფილოკოკზე 2 ნიმუში (1 ეტიკეტირებული, 1 არაეტიკეტირებული).
- CSRDG-ის გამოცდილებით, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით შეძენილი პროდუქციის 30-40 ნიმუშის შემოწმება ფართოდ გავრცელებული დარღვევების გამოვლენის საშუალებას იძლევა.
- დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, შეტყობინებები უნდა გაგზავნილიყო სეს-ში.

ყველის შემოწმების შედეგები

ნიმუშების შეძენისას მეტ-ნაკლებად მოხერხდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის დაცვა. მთავარ სირთულეებს წარმოადგენდა:

- არაეტიკეტირებული ნიმუშების პარტიების დადგენა.
- ერთი და იმავე პარტიის რამდენიმე ნიმუშის მოძიება, სათადარიგო ნიმუშების შესაძენად.
- ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ეტიკეტირებული ნიმუშების შეძენა.
- ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არაეტიკეტირებული ნიმუშების შეძენა ბაზრობების გარეთ, რომლებიც მხოლოდ კვირის გარკვეულ დღეებში იმართება.
- ზოგიერთ შემთხვევაში, არაეტიკეტირებული ნიმუშების შეძენა გამყიდველების მხრიდან შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაუცემლობის, ანდა შესყიდვის ოქმის ხელმოწერაზე უარის გამო.
- 3 შეძენილი ნიმუში გამოირიცხა, 2 შემთხვევაში შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობის გამო, ხოლო 1 შემთხვევაში იმის გამო, რომ შეცდომით შეძენილი იყო მცენარეული ცხიმის შემცველი პროდუქტი და არა ყველი.

საბოლოო ჯამში, კვლევამ 42 ნიმუშის შემოწმება მოიცვა. 27 ნიმუში არაეტიკეტირებული იყო, ხოლო 15 - ეტიკეტირებული. 23 ნიმუშის მწარმოებლის იდენტიფიკაცია მოხერხდა და ისინი 16 მეწარმის მიერ იყო წარმოებული.

კოლიფორმებზე შემოწმდა ყველა, 42 ნიმუში, (კოაგულაზა დადებით) სტაფილოკოკზე - 15 ნიმუში, ხოლო სალმონელაზე - 27 ნიმუში.

საერთო ჯამში, დარღვევები გამოვლინდა 12 ნიმუშში, აქედან, 11 ნიმუში არაეტიკეტირებული იყო, ხოლო 1 ნიმუში - ეტიკეტირებული. კოლიფორმები აღმოჩნდა 11

ნიმუშში, (კოაგულაზა დადებითი) სტაფილოკოკი - 4 ნიმუშში, ხოლო სალმონელა - 1 ნიმუშში. კვლევები ჩატარდა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში.

27 შემოწმებული, არაეტიკეტირებული ნიმუშიდან, 21-ის შეძენისას, მწარმოებელი ვერ დადგინდა. მათ შორის, მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული 11 არაეტიკეტირებული ნიმუშიდან, შეძენისას მხოლოდ ერთის მწარმოებელი გახდა ცნობილი. დარღვევების შესახებ სეს-ისადმი მიმართვის შემდეგ, ამ უკანასკნელმა დამატებით მხოლოდ 2 ნიმუშის მწარმოებლის დადგენა მოახერხა. სამივე ნიმუშის მწარმოებელი წვრილი/მცირე მეწარმე იყო. დანარჩენი არაეტიკეტირებული, დაბინძურებული ნიმუშებით მოვაჭრეების ინფორმაციაზე დაყრდნობითაც მათ მიერ გაყიდული ყველის მწარმოებლებიც წვრილი/მცირე მეწარმეები იყვნენ.

არაეტიკეტირებული ყველის გამყიდველების უმრავლესობამ პროდუქტის ზუსტი მწარმოებელი ვერ დაასახელა, ან მისი ვინაობა არ გაამხილა.

CSRDG-ის პარტნიორი ორგანიზაციების დაკვირვებით, გამყიდველების ნაწილი ყოველ ჯერზე არაეტიკეტირებულ ყველს სხვადასხვა პირისგან ყიდულობს და ცალკეულ პროდუქტებს ერთმანეთში ურევს. ასე რომ, თითოეულის იდენტიფიცირება შეუძლებელია.

ზოგ შემთხვევაში თავად გამყიდველებმა აღიარეს, რომ მათ მიერ გაყიდული ყველი აღურიცხავია, გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად.

სეს-ის რეაგირება დარღვევების შესახებ შეტყობინებებზე

CSRDG-ის პარტნიორმა ორგანიზაციებმა 12 მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული ნიმუშის გამოვლენის შესახებ სეს-ს წერილობით შეატყობინეს. მათი მიმართვების მიღებიდან რამდენიმე დღეში,[36] სეს-მა 18 სურსათის ბიზნესოპერატორი შეამოწმა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც შედარებით მცირე მასშტაბის ბიზნესოპერატორი იყო (წვრილმოვაჭრეები, სურსათის მაღაზიები, ინდმეწარმეები). სეს-მა შეუსაბამობები დაუფიქსირა 10 მეწარმეს და მათი გამოსწორება დაავალა, ხოლო 8 მეწარმე დააჯარიმა. აქედან, 6 მეწარმე ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობდა, რის გამოც მათ, რეგისტრაცის გავლამდე, საქმიანობა აეკრძალათ.

სეს-მა CSRDG-ის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი დაბინძურებული საქონლის პარტიები ვერ იპოვა. ამის მიზეზები შემდეგი იყო:

1. მოვაჭრეს დარღვეული ჰქონდა მიკვლევადობის მოთხოვნები, ანუ შესაბამის ჩანაწერებს არ აწარმოებდა, ამიტომ ყველის მწარმოებლების დადგენა ვერ მოხერხდა.
2. შემოწმების მომენტისათვის ობიექტში არ ხდებოდა ყველის გაყიდვა.
3. ერთ შემთხვევაში დაბინძურებული ყველი აღმოჩენილი იყო მცირე ოჯახურ მეურნეობაში, რომელზეც სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება.
4. „დიდგორის“ ბრენდის მწარმოებლის, შპს შავნაბადას შემთხევაში, სეს საწარმოს შემოწმებით შემოიფარგლა, დარღვევები ვერ გამოავლინა და დაბინძურებული პარტია არ მოუძიებია.

რაც შეეხება მიმართვების ადრესატებისადმი წერილობითი პასუხების გაცემის ვადებს, 7-დან 5 შემთხვევაში იგი აღემატებოდა 20 დღეს, აქედან 2 შემთხვევაში 32 და 38 დღე შეადგინა.

[36] გამონაკლისს წარმოადგენდა სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სადაც სეს-მა მიმართვის მიღებიდან 7 დღეში განახორციელა კონტროლი.

მთლიანობაში, სეს-ის რეაგირება შეიძლება დადებითად შევაფასოთ.

კითხვის ნიშნები რჩება, „დიდგორის“ ყველის შემოწმებასთან დაკავშირებით.

დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება საჩივრების ადრესატებისადმი პასუხების გაცემის ვადები.

შემოწმებული ყველის ნიმუშების მცირე რაოდენობის მიუხედავად, დარღვევების რაოდენობისა და ნიმუშების აღების საკმაოდ ფართო არეალის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ არაეტიკეტირებული ყველის მიკვლევადობა და ჰიგიენური მდგომარეობა პრობლემას წარმოადგენს.

დანართი 2. მაღაზიების მონიტორინგი

2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში CSRDG-ის 9 პარტნიორმა ორგანიზაციამ საქართველოს 13 მუნიციპალიტეტში სასურსათო მაღაზიების მონიტორინგი ჩაატარა.

მეთოდოლოგია

თითოეული ორგანიზაციის მიერ შესამოწმებელი მაღაზიების მინიმალური რაოდენობა: 8.

მონიტორინგის ადგილმდებარეობა: ორგანიზაციის, პროექტით გათვალისწინებული, რომელიმე სამიზნე მუნიციპალიტეტი.

შესამოწმებელი მაღაზიების შერჩევის კრიტერიუმები:

- მაღაზიები, სადაც რძე და რძის ნაწარმი იყიდებოდა.
- მაღაზიები განთავსებული უნდა ყოფილიყო დასახლებული პუნქტის სხვადასხვა ადგილებში.
- მაღაზიებში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო დახლებზე განთავსებული პროდუქციის დათვალიერება.
- ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღაზიების შერჩევა უნდა მომხდარიყო შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

შემოწმების ობიექტი მაღაზიებში:

- რძე და რძის ნაწარმი.
- შენახვის პირობები: მაცივარში, თუ მის გარეთ; ჩართულია, თუ არა მაცივარი.
- პროდუქტის ვადები: ეტიკეტის, ან თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით.
- პროდუქტის ეტიკეტის არქონის შემთხვევაში, თანდართული დოკუმენტაციის არქონა.

შემოწმების პროცესი:

- მონიტორინგზე უნდა გასულიყო 2 პირი.
- მაღაზიაში შესვლისას უნდა მომხდარიყო დაკვირვება, განთავსებული იყო, თუ არა რძე და რძის ნაწარმი მაცივარში.
- თუ განთავსებული იყო, ჩართული იყო, თუ არა მაცივარი.
- შემდეგ სათითაოდ უნდა მომხდარიყო სხვადასხვა მწარმოებლის 3 სხვადასხვა პროდუქტის დათვალიერება, შემოწმებულიყო ვადები და გადაღებულიყო ეტიკეტების ფოტოები, ან ვიდეოები. თითეოულ ორგანიზაციას, შეძლებისდაგვარად, მთელი მონიტორინგის ფარგლებში, უნდა შეემოწმებინა სხვადასხვა მწარმოებლისა და დასახელების პროდუქცია.
- შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ამის შესახებ უნდა მიეთითებინათ მაღაზიის პერსონალისთვის.
- შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, მომდევნო კვირაში ისევ უნდა მომხდარიყო იმავე მაღაზიის მონიტორინგი, ხელახლა შემოწმებულიყო შენახვის პირობები და იმავე დასახელების 3 პროდუქტი; თუ ასეთი არ მოიძებნებოდა - სხვა 3 პროდუქტი.

- მეორადი შემოწმების დროს, რაიმე შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო სურსათის ეროვნული სააგენტოს შეტყობინება ცხელი ხაზის 1501 მეშვეობით.
- სააგენტოს პასუხის მიღების შემდეგ, ხელახლა უნდა მომხდარიყო იმავე მაღაზიის შემოწმება, ზემოთ აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

დოკუმენტირება:

შემოწმების პროცესის თითოეული ნაბიჯი უნდა აღნუსხულიყო სპეციალურ ცხრილში, ხოლო განზოგადებული მონაცემები უნდა მიწოდებოდა CSRDG-ის.[37]

მაღაზიების მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგისას მეტ-ნაკლებად მოხერხდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის დაცვა. მთავარ სირთულეს მონიტორინგის დროს ნიმუშების ფოტოგადაღება წარმოადგენდა. თუმცა, საბოლოოდ, ისეთი მაღაზიები შემოწმდა, სადაც ნიმუშების გადაღება შესაძლებელი გახდა.

საბოლოო ჯამში, მონიტორინგმა 76 მაღაზია და 226 პროდუქტი მოიცვა. დაფიქსირდა 8 დარღვევა, 3 მუნიციპალიტეტის 8 მაღაზიაში. 3 პროდუქტი ვადაგასული აღმოჩნდა, 3 პროდუქტს ეტიკეტი ან თანდართული ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო 2 შემთხვევაში ეტიკეტი არ იკითხებოდა.

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა დარღვევების შესახებ მაღაზიების პერსონალს მიუთითეს. განმეორებითი შემოწმებების დროს ყველა დარღვევა გამოსწორებული იყო.

მიღებულ შედეგებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერ განვაზოგადებთ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო და დიდი ზომის მაღაზიებში (სადაც შესაძლებელია მომხმარებელმა დახლებზე განთავსებული პროდუქცია დაათვალიეროს), რძის ნაწარმის შენახვის პირობების, ვადებისა და არაეტიკეტირებული პროდუქციის გაყიდვის მხრივ, დიდი პრობლემები არ იკვეთება. თუმცა, ამგვარი ზედაპირული მონიტორინგის შედეგად, მაღაზიების 10%-ში (76-დან 8 მაღაზია) დარღვევების გამოვლენა მაინც საყურადღებოა.

დადებითი მოვლენაა ისიც, რომ მაღაზიების პერსონალისათვის დარღვევების მითითების შემდეგ, სეს-ის შეუტყობინებლად, ყველა დარღვევა გამოსწორდა. ეს შედეგი ადასტურებს CSRDG-ის დაკვეთით 2023 წელს ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის ერთ-ერთ მიგნებას, რომ რესპონდენტების 50%-მა რაიმე სახის პოზიტიური რეაგირება მიიღო ბიზნესოპერატორთან სურსათის უვნებლობის დარღვევის ფაქტის დაფიქსირების შემდგომ.[38]

[37] შევსებული ცხრილები იხილეთ ბმულზე https://www.momxmarebeli.ge/articles/all/6816.

[38] საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ანგარიშები, 2023 წ. ივნისი, გვ. 13.

გამოკითხულ პირთა სია

1. ლაშა ავალიანი, ორგანიზაციის Land O'Lakes Venture37 პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში" დირექტორის მოადგილე/ტექნიკური დირექტორი.
2. ლევან არქანია, საქართველოს მერძევეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.
3. მაია ბერუაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსი.
4. ანა გემაზაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
5. რუსუდან გიგაშვილი, ა(ა)იპ „მომავლის ფერმერის" თავმჯდომარე.
6. სალომე გიგაშვილი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროექტის ოფისი ზუგდიდში/რძის ნაწარმისა და სურსათის უვნებლობის ეროვნული სპეციალისტი.
7. ეკა ელაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს ექსპერტი.
8. კახა კონიაშვილი, ასოციაციის „საქრძე" თავმჯდომარე.
9. რატი კოჭლამაზაშვილი, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე.
10. ილია კუნჭულია, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის სერტიფიცირების სპეციალისტი.
11. თამთა მიქანაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი.
12. გიორგი მიქაძე, გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სურსათის უვნებლობის და ნუტრიციოლოგიის დეპარტამენტის უფროსი.
13. ანუკი ნაცვლიშვილი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ვეტერინარიისა და სურსათის უვნებლობის ექსტენციის სპეციალისტი.
14. თამარ ჩხიკვიშვილი, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მესაქონლეობის კონსულტანტი და სერტიფიცირების სპეციალისტი.
15. ვერონიკა ჭკადუა, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროექტის მენეჯერი.
16. დემნა ხელაია, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი.

წერილობითი წყაროები

1. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში („სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში", სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 08.12.2021.
2. ვეტერინარი ექიმების და ტექნიკოსების მონაცემთა ბაზის შექმნა (ფოვერ ფოინთ პრეზენტაცია), Land O'Lakes Ventures37, 2022 წ.

3. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა.
4. საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.
5. საქართველოს მეცხოველეობა რიცხვებში, 2022, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
6. საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ანგარიშები, 2023 წ. ივნისი.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2023 წლის III კვარტალი (წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 16.11.2023.
8. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.
9. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინიციატივის ფარგლებში ჩატარებული მაღაზიების მონიტორინგის შედეგების ამსახველი მონაცემები.
10. საქართველოში სურსათის/აგროლაბორატორიების განვითარების კონცეფცია (წინასწარი ვერსია), თბილისი, 2023.
11. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა.
12. სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი.
13. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.
14. ყველის შემოწმების შედეგები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 19.10.2023.
15. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
16. Strategic Roadmap for Sustainable Laboratory Infrastructure Development in Georgia, UNIDO, Tbilisi, October 2022.